



ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში

პირველი კვარტალი. 2017 წ.

სარჩევი:

მარკეტინგი და პოპულარიზაცია.....	2 გვ.
ექსპორტი	8 გვ.
ქართული ვაზისა და კულტურის კვლევა	9 გვ.
ვენახების კადასტრი.....	10 გვ.
დეგუსტაციები.....	11 გვ.
სერტიფიცირება.....	11 გვ.
სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება.....	12 გვ.

ანგარიში

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის პოპულარიზაცია, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა და ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში სააგენტო ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მუდმივი კონტაქტის, ასევე მეღვინეობის სფეროში მოქმედ სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის რეჟიმში ახორციელებდა.

მიმდინარე წლის პირველი კვარტლის საქმიანობა მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

მარკეტინგი და პოპულარიზაცია; ქართული ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია; კონტროლი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებზე და ღვინის ბრენდებზე; სამომხმარებლო ბაზრის დაცვა დაბალხარისხიანი და ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან; მევენახეობის კადასტრის პროგრამის განხორციელება და დარგთან დაკავშირებული სხვა სამარკეტინგო და ადმინისტრაციული ღონისძიებები.

მარკეტინგი და პოპულარიზაცია

საანგარიშო პერიოდში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით ღონისძიებები გაიმართა საქართველოში და მსოფლიოს 7 ქვეყანაში: ჩინეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია და აშშ.

ქვევრის ღვინის წარდგენა საფრანგეთში



30 იანვარიდან 4 თებერვლამდე ქვევრის ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია საფრანგეთის ქალაქებში გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ფრანგ ღვინის პროფესიონალებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ და დაეგემოვნებინათ ექვსი ქართული ბუნებრივი ღვინოების მწარმოებელი კომპანიის ღვინოები: „ნიკოლაძეების მარანი“, „ანთაძის მარანი“, „ხოხბის ცრემლები“, „ოქრო ღვინო“, „იაგოს ღვინო“ და „კორტავების მარანი“.

ქვევრის ღვინო წარდგენილი იყო ტულუზაში და ლიონში გამართულ სპეციალიზირებულ დეგუსტაციებზე, ხოლო ანჟესა (Les Penitentes) და სომურში (La Dive Bouteille) - ტრადიციულ გამოფენებზე, სადაც ქართული ღვინის კომპანიები უკვე მეექვსედ მონაწილეობდნენ.

ქვევრის ღვინო წარდგენილი იყო ტულუზაში და ლიონში გამართულ სპეციალიზირებულ

ქართული ღვინის წარდგენა ბოსტონსა და ნიუ-იორკში



18-19 თებერვალს, აშშ-ს ქალაქ ბოსტონში ღვინისა და სპირტიანი სასმელების მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენაში „Boston Wine Expo“, ქართული ღვინის მწარმოებელი 18 კომპანია მონაწილეობდა. „Boston Wine Expo“ წელს 26-ედ ჩატარდა და მას ტრადიციულად ათასობით სტუმარი - ღვინის იმპორტიორი, დისტრიბუტორი, სომელიე და მედიის წარმომადგენელი დაესწრო. გამოფენაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ათასობით დასახელების ღვინო იყო წარმოდგენილი.

21 თებერვალს ღვინის ეროვნული სააგენტოსა და მარკეტინგული კომპანია „Marqenergie“-ს ერთობლივი ორგანიზებით, ნიუ-იორკში „ქართული ღვინის დღე“ მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო 20-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 40 დასახელების როგორც ქვევრის, ისე კლასიკური მეთოდით დაყენებული ღვინოები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ორი დეგუსტაცია-სემინარი: ღვინის იმპორტიორებისა და ღვინის დამფასებლებისათვის.



ბრიტანელი პროფესიონალების სემინარი თბილისში



20-21 თებერვალს ინგლისელმა ღვინის მაგისტრმა სარა ებოტმა (Sarah Abbott) და ღვინის მწერალმა რობერტ ჯოზეფმა (Robert Jozeph) ქართულ ღვინის კომპანიებთან ერთად, ქართული ღვინის დიდი ბრიტანეთის ბაზარზე დამკვიდრების სტრატეგიული გეგმა განიხილეს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით ჩატარებულ ორდღიან სემინარში, სადაც 35 ქართული ღვინის კომპანიის წარმომადგენელი მონაწილეობდა, მონაწილეებმა ის ძირითადი ღონისძიებები და მიმართულებები განიხილეს, რომლებიც ქართულ ღვინოს დაეხმარება დიდი ბრიტანეთის ბაზარზე დამკვიდრებაში.



ქართული ღვინის პრეზენტაცია სტოკჰოლმში

15 თებერვალს ღვინის ეროვნული სააგენტოს, შვედეთი-საქართველოს სავაჭრო პალატის, შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოსა და ქართული ღვინის კომპანიების მხარდაჭერით სტოკჰოლმში, ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძიება ემსახურებოდა ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას,

შვედეთის ღვინის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციას, ადგილობრივ მომხმარებელში და პროფესიონალებში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას.

ღონისძიებას შვედეთის სასტუმროებისა და რესტორნების მფლობელები, ღვინის იმპორტორები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ქართულმა ღვინომ სტუმრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, რის გამოც, მათმა ნაწილმა გადაწყვიტა გაზაფხულზე პირადად ეწვიოს საქართველოს და ადგილზე გაეცნოს ქართული ღვინის კულტურას და ღვინის კომპანიების საქმიანობას. სტოკჰოლმში, საქართველოს საელჩოში

გამართულ დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო ათი ქართული ღვინის კომპანიის პრემიუმ ღვინოები.

ქართული ღვინის წარმატება იაპონიაში



1 მარტს, 12 დასახელების ქართულმა ღვინომ იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, საერთაშორისო კონკურსში „საკურა“ (The 4rd “Sakura” Japan Women’s Wine Awards 2017) უმაღლესი ჯილდოები - ერთი „ორმაგი ოქრო“, ექვსი - ოქროს და ხუთი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. „საკურას“ საერთაშორისო კონკურსი მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც წელს მეოთხედ ჩატარდა. კონკურსის ჟიური დაკომპლექტებულია იაპონიაში ღვინის სფეროში მოღვაწე ქალბატონებით - სომელიეებით, ღვინის მწერლებითა და ჟურნალისტებით.

სულ კონკურსში 37 ქვეყნის 4212 ღვინო იყო წარდგენილი.

გამარჯვებული ღვინოებია: **ორმაგი ოქრო** - ვაზიანი კომპანი - საფერავი 2015;

ოქრო: ბინეხი - საფერავი 2015; თელავის ღვინის მარანი - კონდოლი საფერავი 2014; თელავის ღვინის მარანი - სატრაპეზო საფერავი 2013; მილდიანი - ქინძმარაული 2014; ვაზიანი კომპანი - ქისი 2015; მეღვინეობა ხარება - საფერავი 2013

ვერცხლი: თელავის ღვინის მარანი - მუკუზანი 2014; მილდიანი - საფერავი რეზერვი 2011; შუმი - საფერავი BIO 2014; მეღვინეობა ხარება - ქინძმარაული 2014; ბესინი - ბესინი პრემიუმი (წითელი) 2013

„FOODEX JAPAN 2017

7-10 მარტს ქართული ღვინის სემინარი-პრეზენტაცია იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე კვების პროდუქტებისა და სასმელების 42-ე საერთაშორისო გამოფენის „FOODEX JAPAN 2017“-ის ფარგლებში გაიმართა. გამოფენის ოფიციალურ გახსნასა და ქართული ღვინის პრეზენტაციას საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი იაპონიაში ლევან ცინცაძე დაესწრო.

ქართული ღვინის სემინარს ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩოლობარგია უმღვებოდა და მას ღვინის თემაზე

მომუშავე ჟურნალისტები, ღვინის იმპორტიორები, ექსპერტები, რესტორნებისა და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები დაესწრნენ. პრეზენტაცია მოიცავდა ქართული ღვინის ისტორიისა და კულტურის 8-ათასწლიანი განვითარების მოკლე მიმოხილვას. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო 6 დასახელების ქართული ღვინო.



RAW London 2017

12-13 მარტს, დიდ ბრიტანეთში დედაქალაქ ლონდონში ტარდება ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენა „RAW London“ (The Artisan Wine Fair London), სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქვეყრის ღვინის მწარმოებელი 6 კომპანია მონაწილეობს: „გოცას მარანი“, „ნათენაძის ღვინის მარანი“, „ფაფრის ველი“, „ნაოტარი“, „ტიბაანი“ და „გაიოზ სოფრომადის მარანი“.

გამოფენის ორგანიზატორია მსოფლიოში ცნობილი ღვინის ექსპერტი, საერთაშორისო ღვინის მაგისტრი იზაბელ ლეჟერონი (საფრანგეთი).

ქართველი მეღვინეები აცხადებენ, რომ გასულ წლებში აღნიშნულმა გამოფენამ მათ მნიშვნელოვანი იმპორტიორები შესძინა.

დეგუსტაცია მონაკოში



20 მარტს, მონაკოს სომელიეთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტის, დომინიკ მილარდის ინიციატივითა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის დეგუსტაცია მონაკოში გაიმართა. ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი და სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ანა გოდაბრელიძე დაესწრნენ.

დეგუსტაციას 85 სომელიე, მეღვინე, ჟურნალისტი და მეწარმე დაესწრო როგორც იტალიიდან, ასევე საფრანგეთიდან. სულ წარმოდგენილი იყო 7 ქართული კომპანიის ღვინოები: „შუხმან ვაინს ჯორჯია“, „შალაურის ღვინის მარანი“, „კახური“, „ვიტა ვინეა“, „თელედა“, „ფერადის მარანი“ და „ვინივერია“.

ქართული ღვინის წარდგენა მიზნად ისახავდა, რომ დამსწრე საზოგადოებას გაეცნო როგორც ევროპული, ასევე ტრადიციული წესით დაყენებული ქართული ღვინო, მიეღო ინფორმაცია ქართული ყურძნის ჯიშების, ვაზის და ღვინის კულტურისა და ისტორიის შესახებ.

ქართული ღვინის დეგუსტაცია ასევე კლერმონ-ფერანში გაიმართა.



დიუსელდორფის ProWein-2017

19-21 მარტს, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა ProWein-2017 ჩატარდა, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ასოციაცია „ქართული ღვინო“-ს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 23 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის 2 დეგუსტაცია გაიმართა ევროპის წამყვანი

მეღვინეობის ჟურნალ „ვინუმის“ (Vinum) სტენდზე, რომელსაც გამოცემის მთავარი რედაქტორი რუდოლფ კნოლი (Rudolf Knoll) უძღვებოდა. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო 14 დასახელების ქართული ღვინო.

დეგუსტაცია ჰოლანდიაში

22 მარტს, ამსტერდამში სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „საფერავი ვაინ ეიჯენსის“ (Saperavi Wine Agency) ორგანიზებით ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. აღნიშნული კომპანია აქტიურად ეწევა ქართული ღვინის იმპორტს ჰოლანდიაში და ხელს უწყობს ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებას ამ ქვეყანაში, ასევე ქვევრში ღვინის დამზადების უნიკალური წესის და უძველესი აბორიგენული ვაზის ჯიშების პოპულარიზაციას.



The 96th China Food & Drinks Fair

23-25 მარტს, ჩინეთში, სიჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენგდუში ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა - The 96th China Food & Drinks Fair გაიმართა, რომელშიც ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ქართული ღვინის მწარმოებელი 27 კომპანია მონაწილეობდა.

ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თამთა ყველაიძე დაესწრო. მისი თქმით, გამოფენის პირველ

დღეს დაფიქსირდა გამოფენის არსებობის მანძილზე ვიზიტორთა რეკორდული რაოდენობა - 250 ათასი ადამიანი.

ექსპორტი

საქართველოდან მსოფლიოს 38 ქვეყანაში ექსპორტირებულია 14 199 018 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 85%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს.

საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 32,2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 77%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი -8 987 745, ჩინეთი -1 794 200, უკრაინა - 1 305 508, პოლონეთი - 561 294 და ყაზახეთი - 473 515 ბოთლი.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში:

ჩინეთი - 383% (1 794 200)

ისრაელი - 333% (42 570)

რუსეთი - 120% (8 987 745)

კანადა - 55% (34 650)

პოლონეთი - 27% (561 294)

გერმანია - 22% (98 926)

უკრაინა - 20% (1 305 508)

აშშ - 7% (66 714)

ლატვია - 5% (255 896)

ამასთან, მსოფლიოს 13 ქვეყანაში ექსპორტირებულია 3 302 962 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 51%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 8,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 71%-ს აღწევს.

პირველ კვარტალში ექსპორტირებულია 46 990 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ზრდამ 142% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 137 ათას აშშ დოლარს შეადგენს. ზრდამ გასული წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით 114%-ს მიაღწია.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 58,5 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა - ზრდამ 2016 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 76% შეადგინა.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი

სააგენტომ „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის“ პროექტი 2014 წელს დაიწყო, რომლის განხორციელება მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყნის წარმოჩენას, მისი ისტორიის უწყვეტობის აღდგენას, მდიდარი მემკვიდრეობის ჩვენებას ქართველი და უცხოური ინსტიტუტებისა და მკვლევარების ერთობლივი კვლევების შედეგად.

პროგრამა 3-წლიანია და მის ფარგლებში ხორციელდება ახალი არქეოლოგიური გათხრების ხელშეწყობა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ვაზის ნაშთების სისტემატიზაცია, დათარიღება და ანალიზი, მევენახეობა-მეღვინეობის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის წარმოჩენა, თანამედროვე მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ანალიზი და ა.შ.

- წლის დასაწყისში განისაზღვრა 2017 წლის მუშაობის ძირითადი პრიორიტეტები: გასული სამი წლის განმავლობაში პროექტის მიერ შეგროვებული მონაცემების საფუძველზე სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება და რეიტინგურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნება.

- 2016 წელს შულავერის კულტურის (ძვ. წ. 6000-5000 წლები) ძეგლების „გადაჭრილი გორასა“ და „შულავერის გორაზე“ აღებული ექვსი არქეოლოგიური ნიმუში გაიგზავნა დათარიღებისათვის ისრაელში, ვეისმანის ინსტიტუტის D-REAMS ლაბორატორიაში.
- პროექტის მონაწილე მეცნიერები სხვადასხვა დისციპლინებიდან მუშაობენ პუბლიკაციების მოსამზადებლად ნეოლოთური და შემდგომი პერიოდების საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ.

ვენახების კადასტრის პროგრამა

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ვენახების უწყებრივი კადასტრის პროგრამის განხორციელება 2014 წელს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონიდან დაიწყო.

კადასტრის სისტემა ეფექტურად მუშაობს ევროკავშირის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობაა განვითარებული. საქართველოში ანალოგიური სისტემა აქამდე არ არსებობდა. საკადასტრო ბაზის არსებობა აუცილებელია ვენახების აღრიცხვიანობის მოწესრიგებისათვის, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში გადაწყვეტილებების მისაღებად, რთველის პროცესის სწორად დაგეგმისთვის, ღვინის წარმოებისა და მისი მოძრაობის კონტროლირებისათვის, ზოგადად - მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს რეგულირებისათვის.

ვენახების კადასტრი მოიცავს ვენახების ფართობების რეესტრებს, ინფორმაციას ვენახებში გაშენებული ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობისა და მდგომარეობის შესახებ.

კადასტრის სისტემის საფუძველია ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს გეოგრაფიულ-საინფორმაციო სისტემაზე (GIS) დაფუძნებულ სატელიტურ რუკებს.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

კომპანია ABACO-სთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წელს მიწოდებული ვენახების საკადასტრო მონაცემების ABACO-ს მონაცემთა ბაზაში ატვირთვა/ოპერირების მომსახურება იანვრის თვეში, რომლის ფარგლებში დახვეწილი იქნა ამ მონაცემთა ბაზაში შეტანილი ინფორმაცია, შედგა „ვენახების ამონაწერი“ როგორც მევენახეებთან ურთიერთობის ფორმა, დამუშავდა ანგარიშების (ე.წ. „რეპორტები“) ფორმები მონაცემთა გამოტანისათვის.

კომპანია ABACO-ს ექსპერტებმა კონსულტაციები გაუწიეს სააგენტოს თანამშრომლებს ამ საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გამოყენებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დეგუსტაციები

ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ საანგარიშო პერიოდში ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლექტიკური ტესტირების მიზნით 26 დეგუსტაცია ჩაატარა. სულ წარმოდგენილი იყო 599 ნიმუში, მათგან 49 შეფასდა უარყოფითად, დანარჩენი 550 დადებითად.

სერტიფიცირება

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე სერტიფიცირების სამმართველოს მიერ გაცემულია სულ - საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ - 1370 განაცხადი:

შემოსული განაცხადების საფუძველზე სულ გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია:

- VI-1 ფორმის სერტიფიკატი - / ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 987 ცალი;
- შესაბამისობის სერტიფიკატი - 1224 ცალი;

სულ 2017 წლის I-კვარტალში გაიცა - 2211 სერტიფიკატი.

ინსპექტირება

საანგარიშო პერიოდში ადგილწარმოშობის და ასევე სუფრის საექსპორტო ღვინოების სახელმწიფო კონტროლი 23 კომპანიაში განხორციელდა. საექსპორტო პარტიებიდან შემოწმდა 131 ნიმუში. ინსპექტირების შედეგად ხუთ კომპანიაში 14 ნიმუში არ შეესაბამებოდა ლაბორატორიის მიერ ლოტზე გაცემულ ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებს, რის შედეგადაც აღნიშნულ კომპანიებს კონკრეტულ საექსპორტო ღვინოებზე უარი განეცხადათ.